585
1972/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (380)

1972 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 9 (380) სექტემბერი 1972 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე.

192. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

განყოფილება მეორე

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ხ. კავშთიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. კუბლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ.
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

187 ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ლოთობა სულ უფრო მეტად დაუშვებელი ხდება.

ლოთობა ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, არცთუ იშვიათად იწვევს ოჯახის დანგრევას, დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე. ალკოჰოლის ზეგავლენით ადამიანები კარგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, ჩადიან ხულიგნობას და სხვა დანაშაულს. ლოთობა ზიანს აყენებს წარმოებას, ხელს უშყობს გაცდენებს და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებს, იწვევს ავარიებსა და ადამიანთა დაღუპვას.

მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ ლოთობის აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტური ზომების განხორციელებას, შეურიგებელი დამოკიდებულების შექმნას ლოთობის ყოველგვარ გამოვლენასთან.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის

1. სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, ეზოებსა და სადარბაზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში — გარდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ — აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილას მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ათ მანეთამდე.

იგივე ქმედობა, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში დღიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისა, გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდაათ მანეთამდე.

ჯარიმას ადებს მილიციის ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე.

მილიციის ორგანო ვალდებულია დაჯარიმების შესახებ აცნობოს ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

2. მილიციის ორგანოს უფლება აქვს საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის დაჯარიმების ნაცვლად. გააფრთხილოს დამრღვევი, ანდა სათანადო მასალა განსახილვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს, ან ამხანაგურ სასამართლოს, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

3. დაწესდეს, რომ წარმოების დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხსნას პრემია იმ პირს, რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ იყო გამოყენებული ლოთობისათვის ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, ამ პირს შეიძლება არ მისცენ დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი.

ასეთივე ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომელიც სამუშაოზე არაერთხელ გამოცხადდება მთვრალ მდგომარეობაში, ან რომელიც სამუშაოზე სვამს სპირტიან სასმელებს.

ბრიგადირებს, ოსტატებს, უბნების, საამქროების, ცვლების უფროსებს და სხვა სამეურნეო ხელმძღვანელებს, თუ ისინი დაუშვებენ მათდამი დაქვემდებარებულ მუშაკთა მიერ სპირტიანი სასმელების წარმოებაში სმას, აგრეთვე, თუ არ მიიღებენ ზომებს მთვრალი პირების სამუშაოდან გადაყენებისათვის, დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო იმ შემთხვევებში — კი, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

4. იმ პირს, რომელიც ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ძალიან მთვრალი იმყოფება, ათავსებენ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში, ამასთან გამოსაფხიზლებელში ყოფნისათვის მას გადახდება საფასური დადგენილი ოდენობით.

II. პასუხისმგებლობა ლოთობაში არასრულწლოვანთა ჩათრევისათვის

5. მშობლების ან სხვა პირთა მიერ არასრულწლოვანის დათრობა, თუ ასეთი ქმედობა სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, — გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ოცდაათ მანეთამდე, რასაც არასრულწლოვანთა მშობლებს ან მათ შემცვლელ პირთ დაადებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, ხოლო სხვა პირთ — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელზედაც არასრულწლოვანი სამსახურებრივად არის დამოკიდებული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე.

არასრულწლოვანის ლოთობაში ჩათრევა, ესე იგი ზემოაღნიშნული ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

6. საზოგადოებრივ ადგილებში 16 წლამდე ასაკის მოზარდთა მთვლელ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმა — გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ათ მანეთამდე, რასაც დააკისრებენ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები.

7. აიკრძალოს არასრულწლოვან პირთა მიღება ისეთ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია სპირტიანი სასმელებით ვაჭრობასთან, მათ წარმოებასთან ან შენახვასთან.

III. პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის

8. სავაჭრო საწარმოების მუშაკთა მიერ არაყით და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდახუთ მანეთამდე ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებას. ჯარიმას ადგენს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

იგივე ქმედობა, განმეორებით ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, დაჯარიმების ან ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა შეფარდების შემდეგ, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე ან უამისოდ,

9. მოქალაქეთა მიერ არაყისა და სხვა სპირტიანი სასმელების შესყიდვა და ზედმეტ ფასებში გაყიდვა ისჯება მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სპეკულაციისათვის.

IV. პასუხისმგებლობა შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადების, გასაღებისა და შეძენისათვის

10. არაყის გამოხდა ხორბლეულ-მარცვლეულთაგან ან საკვები პროდუქტებისაგან, გასაღების მიზნის გარეშე, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

11. არაყის გამოხდა ხორბლეულ-მარცვლეულთაგან ან საკვები პროდუქტებისაგან, გასაღების მიზნით, აგრეთვე ამ არაყის გასაღება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. გასაღების მიზნით არაყის გამოხდა ჭაჭისაგან, ღვინის ლექისაგან, ხილისაგან და ველური მცენარეების ნაყოფისაგან, აგრეთვე ამ არაყის გასაღება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

ოგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

ის პირი, რომელიც ხელს შეუწყობს მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდას (ბინით, მოწყობილობით, სატრანსპორტო საშუალებებით, ხორბლეულ-მარცვლეულით და სხვ.) მიცემული იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც თანამონაწილე.

13. შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენაში მხილებული პირი დაჯარიმდება ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ან მასალები მის შესახებ განსახილველად გადაეცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს ან ამხანაგურ სასამართლოს დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჯარიმას ადებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

V. პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის

14. სატრანსპორტო საშუალებების — ავტომოტოტრანსპორტის, საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმოძრავი მანქანის მძღოლი სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის, სიმთვრალის ხარისხის მიუხედავად, დაჯარიმდება ათიდან ოცდაათ მანეთამდე, ორ წლამდე ვადით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით.

მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან ხუთი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში განმეორებით მართვა, სიმთვრალის ხარისხის მიუხედავად, — გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

აღნიშნულ სასჯელს ადებს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილება (ქვეყანყოფილება) ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილება.

თუ ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული წესით ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, უფლების ჩამორთმევის შემდეგ შრომას კეთილსინდისიერად ეკიდება და სანიმუშო ყოფაქცევას იჩენს, ორგანოებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, შეუძლიათ დადგენილი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით შეუმცირონ მას მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა დარჩენილი დროის ოდენობით.

15. ავტომოტოტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთი დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

16. ავტომოტოტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, — გამოიწვევს ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე, ჯარიმას ადებს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილება (ქვეგანყოფილება) ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილება.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

VI. იმ პირთა იძულებითი მკურნალობა, რომლებიც ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს

17. ქრონიკული ალკოჰოლიკი, რომელიც საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებს ნებაყოფლობით მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობს ლოთობას, არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, — იგზავნება სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდისათვის, განკურნებამდე, მაგრამ არა ნაკლებ ერთი წლის ვადით.

აღნიშნული პირის სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე.

VII. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები

18. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას კომისიები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აგრეთვე შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს ლოთობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული კომისიები შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ლოთობასთან ბრძოლის კომისიების დებულების პროექტი.

19. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

188 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურების, დანგრევის, ან დაზიანებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 254.** კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების შებილწვა ან თვითნებური გამოყენება, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ფეოქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენებით, აგრეთვე ამ ძეგლებისა და ობიექტების გაუფრთხილებლობით განადგურება, დანგრევა, ან დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტეშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილ უთანხმოებათა გადაჭრის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 162. სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილ უთანხმოებათა გადაჭრა

უთანხმოებას, წარმოშობილს ისეთი ხელშეკრულების დადებისას, რომელსაც საფუძვლად უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო გეგმიური დავალება, გადაჭრის სასამართლო, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც კოლმეურნეობა ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციაა, და შესაბამისი არბიტრაჟი (სამედიატორო სასამართლო), თუ მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო, კოოპერაციული (კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების გარდა) და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თუკი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილი უთანხმოება ისეთი ნელ-შეკრულების დადებისას, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო გეგმიური დავალება, შეიძლება გადაჭრას, შესაბამისად, სასამართლომ ან არბიტრაჟმა თუ ეს სპეციალურად არის გათვალისწინებული კანონით ან მხარეთა შეთანხმებით".

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამოქალაქო, საოჯახო შრომისა და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის საქმეები, თუ დავაში ერთი მხარე მაინც მოქალაქე, კოლმეურნეობა ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციაა, როცა ასეთი დავის გადაწყვეტა კანონით მიეკუთვნება ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოების გამგებლობას".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 251-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 251. ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევა

ეპიდემიურ და სხვა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილი სავალდებულო წესების დარღვევა, თუ ამას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა გადამდებ დაავადებათა გავრცელება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

191 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე

„რადიოელექტრონული საშუალებების შეძენის, დადგმის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის წესების, რადიოსიხშირეთა გამოყენების წესების, რადიოგამოსხივების და რადიომიღებისათვის დასაშვები ინდუსტრიული ხელისშეშლის ნორმების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ., № 4, მუხ. 80; 1966 წ., № 8, მუხ. 132; 1967 წ., № 6, მუხ. 350; 1968 წ., № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ., № 10, მუხ. 182; 1970 წ., № 5, მუხ. 73; 1972 წ., № 8, მუხ. 164) მე-15 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეთოთხმეტე აბზაცი: „კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს — რადიოელექტრონული საშუალებების შეძენის, დადგმის, მშენებლობის და ექსპლუატაციის წესების, რადიოსიხშირეთა გამოყენების წესების, რადიოგამოსხივების და რადიომიღებისათვის დასაშვები ინდუსტრიული ხელისშეშლის ნორმების დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საკითხი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, კანონს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამასთან განაპირობა მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცება, გააძლიერა მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ხელი შეუწყო ქალაქ ჟავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აღებულ საწარმოო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ფართოდ იყენებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

მნიშვნელოვნად ამაღლდა აღმასკომების სხდომათა და სესიების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციული დონე. საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

გაუმჯობესდა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, აღმასკომები ყოველ სესიაზე ინფორმაციას უკეთებენ დეპუტატებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საჭირო ყურადღებას უთმობენ მოსახლეობასთან კავშირის გაფართოება-განმტკიცებას, მუშაობის საჯაროობას. დეპუტატები ფართოდ აცნობენ ამომრჩევლს სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღმასკომები, მათი განყოფილებების და სამმართველოების უმრავლესობა პერიოდულად ანგარიშით გამოდიან მოსახლეობის წინაშე თავიანთი საქმიანობის შესახებ.

საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატები რეგულარულად ხვდებიან თავისი ოლქის ამომრჩევლს. მიმდინარე წელს ანგარიში ჩააბარა დეპუტატების 96,5 პროცენტმა.

საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა მუდმივმა კომისიებმა, ისინი სულ უფრო მეტი აქტივობით ეკიდებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. მეტ ინიციატივას იჩენენ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით.

კარგად მუშაობს ქალაქის საბჭოს ორჯონიკიძის, 26 კომისრების და კალინინის რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიები.

საბჭოების აღმასკომები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, თავისი და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად.

ამასთან ერთად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონულ საბჭოებს ნაკლოვანებანი გააჩნიათ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში. არის შემთხვევები, როცა ირღვევა სესიების მოწვევის ვადები, ზოგ შემთხვევაში სესიას არ ესწრება დეპუტატების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ზოგი დეპუტატი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების განხილვაში.

თბილისის საქალაქო საბჭოს მე-6 სესიას 596 დეპუტატიდან არ ესწრებოდა 161 დეპუტატი ანუ 27%. კიროვის რაიონული საბჭოს მე-2 სესიას არ ესწრებოდა დეპუტატების 25,3%, პირველი მაისის რაიონული საბჭოს მეექვსე სესიას — 30%, ოქტომბრის რაიონული საბჭოს მეხუთე სესიას — 30% და სხვ.

რაიონული საბჭოების აღმასკომები დეპუტატებსა და მოსახლეობას არ აცნობებენ სესიის მოწვევის თარიღსა და დღის წესრიგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიებზე მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება არაკონკრეტულია ან ღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლი — არასაკმარისი.

აღმასკომები თავიანთ გადაწყვეტილებებს ზოგჯერ დიდი დაგვიანებით უგზავნიან წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ხოლო წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როგორც წესი, საბჭოს არ ატყობინებენ მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის შედეგებს.

ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები მუდმივი კომისიების მუშაობაში. ზოგიერთი მუდმივი კომისია არ იჩენს საჭირო ინიციატივას. ოქტომბრის რაიონული საბჭოს — მეცნიერებისა და კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა, კიროვის რაიონული საბჭოს — მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალისტური კანონიერების, პირველი მაისის რაიონული საბჭოს — ვაჭრობისა და საზოგადოებრივი, კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუდმივ კომისიებს გასულ წელს სესიისა და აღმასკომის სხდომისათვის არცერთი საკითხი არ მოუმზადებიათ. ზოგიერთი მუდმივი კომისია იღებს დამავალდებულებელ გადაწყვეტილებებს.

სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებისას ყველა დეპუტატი არ იჩენს სათანადო აქტივობას, ნაკლებად მონაწილეობს საბჭოსა და მუდმივი კომისიების მუშაობაში, არ ხვდება ამომრჩეველს, არ ანგარიშს საბჭოსა და თავისი მუშაობის შესახებ.

გასულ წელს სესიისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონული საბჭოების აღმასკომებს. მოსახლეობის წინაშე მოხსენებით თავიანთი მუშაობის შესახებ არ გამოსულა აღმასკომების ყველა განყოფილება და სამმართველო.

ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ არასრულყოფილად იყენებს მინიჭებულ უფლებებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში, არ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალაქის მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულებაზე. ასე მაგალითად: 1972 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 6 თვის გეგმა ქალაქში შესრულებულია 96,1 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა 6 თვის გეგმა — 89 პროცენტით. არ არის შესრულებული საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად უზრუნველყონ საბჭოების ორგმასიური მუშაობის გაუმჯობესება, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღონ საჭირო ზომები საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმების და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, არ დაუშვან სესიების ჩატარების კონსტიტუციური ვადის დარღვევის არც ერთი შემთხვევა;

ბ) მიიღონ ზომები საბჭოების სესიების როლის შემდგომი ამაღლებისათვის. სესიაზე განსახილველად შეიტანონ სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები. რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია დეპუტატებს საბჭოს გადაწყვეტილებათა, ამომრჩეველთა განაწესების, მათი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ; მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც სათანადო ზომებს არ იღებენ საბჭოების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხორციელებისათვის;

გ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს თავიანთ სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში; წაახალისონ მათი შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა; მეტი ყურადღებით მოეპყრონ დეპუტატების წინადადებების და პრაქტიკული შენიშვნების დროულად განხილვასა და განხორციელებას;

დ) დეპუტატების სამუალებით სისტემატურად გააცნონ მოსახლეობას პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები და მათი შესრულების მდგომარეობა, ამასთან დარაზმონ მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ე) საჭირო დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ სათანადო პირობები ნორმალური მუშაობისათვის, მიაღწიონ იმას, რომ გააუმჯობესონ საბჭოების და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ორგანიზატორული მუშაობა, გააძლიერონ კონტროლი აღმასკომების განყოფილებების, სამმართველოების, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობისადმი;

ვ) განახორციელონ ღონისძიებანი აღმასკომების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. განაზოგადონ და გაავრცელონ აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რისთვისაც გამოიყენონ სემინარები, თათბირები, პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი;

ზ) მიაღწიონ იმას, რომ აღმასკომის განყოფილებათა გამგეები და სამმართველოების უფროსები სისტემატურად გამოდიოდნენ მოხსენებებით მოსახლეობის წინაშე და თავიანთ საქმიანობაში ითვალისწინებდნენ ამ კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს;

თ) ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელთა მასების ჩასაბმელად, გააძლიერონ ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა ყოველი საწარმოს მიერ გეგმების და საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

2. დაეკალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება ქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისადმი ორგმასიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1973 წლის 15 ივლისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 ამხ. ბ. ძ. კავთიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გიორგი ქრისტეფორეს ძე **კავთიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 ამხ. მ. ა. კუბლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ადგილობრივი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი, კოლეგიის წევრი ამხ. მიხეილ ალექსის ძე **კუბლაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. გ. ა. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სორგანიზაციო-პარტიული განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გუგუ ალექსის ასული შენგელია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. ა. ა. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. აკაკი ანტონის ძე **ჩიხლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 სექტემბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 14 სექტემბერს განიხილა საკითხი ტყიბულის საქალაქო, დმანისის და გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ ტყიბულის საქალაქო, დმანისის და გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული კომისიები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კანონებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

ამასთან ერთად აღნიშნულ ადმინისტრაციულ კომისიებს თავიანთ მუშაობაში გააჩნიათ სეროიზული ნაკლოვანებანი. რიგ შემთხვევებში მათი დადგენილებები აღემატება ადმინისტრაციული კომისიებისათვის დებულებით მინიჭებულ უფლებებს, ხოლო ზოგჯერ ადმინისტრაციული სასჯელის დადებისას სარგებლობენ გაუქმებული ნორმატიული აქტებით (გურჯაანის რაიონი).

კომისიები, როგორც წესი, არღვევენ საქმის განხილვისათვის დებულებით დაწესებულ 10 დღიან ვადას, სხდომას ატარებენ თვეში ერთხელ და თვითეულ სხდომაზე იხილავენ 30-40 საქმეს, რაც იწვევს საქმეთა უხარისხოდ განხილვას; სათანადო ყურადღება არ ექცევა ჯარიმების დროულად გადახდევინებას, პრაქტიკაში არ არის დანერგილი გამსცელელი სხდომების ჩატარება და შეტყობინების გაგზავნა ჩადენილი დარღვევის შესახებ მოქალაქის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

არის შემთხვევები, როცა კომისიის სხდომებს არ ესწრება სამართალდამრღვევი, მიღებულ დადგენილებებსა და ოქმებში არ არის ნაჩვენები დამრღვევის ასაკი, დარღვევის ჩადენის თარიღი, არასწორადაა აღნიშნული მისი გვარი და სახელი, მისამართი, არ არის მითითებული კანონის ის ნორმა, რომლის დარღვევისათვის ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და სხვა. კომისიის დადგენილებას ხელს აწერენ მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი და არა კომისიის ყველა წევრი, რომლებიც მონაწილეობდნენ კომისიის მუშაობაში. დამრღვევთ, კომისიები ხშირად უყენებენ სასჯელის ისეთ ზომებს, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელის ზომას უფარდებენ ნაწილობრივ. მაგალითად, ნადირობის წესების დარღვევისათვის მხოლოდ აჯარიმებენ და არ ართმევენ იარაღს, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული (გურჯაანისა და დმანისის რაიონები).

კომისიები არ განაზოგადებენ განხილული საქმეების პრაქტიკას, არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ადმინისტრაციულ დარღვევათა აღკვეთისა და პროფილაქტიკისათვის. ამ საქმეში ნაკლებად არის გამოყენებული ადგილობრივი პრესა და რადიო.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობას ჯეროვან ზედამხედველობას არ უწევენ პროკურორები. ამ კომისების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის სხქალაქო, დმანისის და გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადოდ არ ეხმარებიან და არ აკონტროლებენ კომისიებს, თავიანთ სხდომებზე და სესიებზე არ იხილავენ მათი მუშაობის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის საქალაქო, დმანისის და გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული კომისიებისადმი. პერიოდულად განიხილონ მათი მუშაობის საკითხები, აღმოუჩინონ მათ საჭირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

მოაწყონ ადმინისტრაციული კომისიების წევრთა თათბირ-სემინარი ამ კომისიების დებულების, „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შედგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების და სხვა საკითხების შესწავლისა და განმარტების მიზნით;

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველ-ჟამ ემსახურებოდეს ადმინისტრაციულ დარღვევათა თავიდან აცილების და საზოგადოებრივი ზემოქმედებით მოქალაქეთა აღზრდის საქმეს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები, რათა მილიციის ორგანოებმა სრულყოფილად შეადგინონ ადმინისტრაციული დარღვევების ოქმები (აქტები) და დროულად წარუდგინონ ისინი ადმინისტრაციულ კომისიებს.

საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მიეცა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული კომისიების მუშაობისადმი.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალა შეისწავლონ ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა და მიიღონ ზომები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 14 სექტემბერს განიხილა „გარდაბნის, ზესტაფონის და ცაგერის რაიონებში სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლი 2 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის სახალხო მოსამართლეებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად.

ამასთან ერთად აღნიშნული რაიონების სახალხო მოსამართლეებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების, განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის და განხილვის საქმეში გაეჩინათ ნაკლოვანებანი. საანგარიშო კრებები ყოველთვის არ ტარდება სათანადო ორგანიზაციულ დონეზე, ამომრჩევლებს დროულად არ ატყობინებენ სახალხო მოსამართლის მიერ ანგარიშის ჩაბარების დღეს. მოხსენებებში ცოტას ან სრულიად არ ლაპარაკობენ სახალხო სასამართლოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ანგარიშების ჩაბარება, უმეტესად, რაიონის ცენტრში წარმოებს. გარდაბნის და ცაგერის რაიონის სახალხო მოსამართლეები არ აწარმოებენ ამომრჩეველთა განაწესებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვას, არცერთ სასამართლოს არა აქვს ცნობები ამომრჩეველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთა წინადადებების შესრულების შესახებ. ცაგერის რაიონის სახალხო მოსამართლეს არ აქვს შედგენილი ანგარიშის ჩაბარების გეგმა, საანგარიშო კრებების ოქმები არ არის სათანადოდ გაფორმებული.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახალხო მოსამართლეთა საანგარიშო მოხსენებების განხილვაში იშვიათად მონაწილეობენ სახალხო მსაჯულები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის რაიონის სახალხო მოსამართლეებს:

მეტი ყურადღება მიაქციონ საანგარიშო კრებებისა და საანგარიშო მოხსენებების მომზადებას, მოხსენებებში ღრმად გაანალიზონ დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დარღვევის გამომწვევი მიზეზები და დარაზმონ მასები მათს აღმოსაფხვრელად;

წინასწარ აცნობონ ამომრჩეველს საანგარიშო კრებების ჩატარების თარიღის შესახებ; აწარმოონ ამომრჩეველთა განაწესებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა და დასახონ ღონისძიებანი მათს განსახორციელებლად. წინადადებების შესრულების მიმდინარეობა აცნობონ ამომრჩეველს; უზრუნველყონ ანგარიშების ჩაბარებაში მსაჯულთა აქტიური მონაწილეობა;

გააძლიერონ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა მოსახლეობაში. საუბრების, მოხსენებების, კითხვა-პასუხის საღამოების, ინდივიდუალური კონსულტაციების, პრესის და ადგილობრივი რადიოგადაცემების საშუალებით სისტემატურად აწარმოონ კანონმდებლობის სხვადასხვა საკითხების განმარტება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა სისტემატურად შეამოწმოს სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩეველებისათვის ანგარიშგების ჩაბარების მდგომარეობა და მიიღოს ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ მოსამართლეების მიერ ამომრჩეველებისათვის ანგარიშების ჩაბარების საკითხი გახადონ აღმასკომების მსჯელობის საგანი, მეტი დახმარება აღმოუჩინონ სახალხო მოსამართლეებს საანგარიშო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვასა და განხორციელებაში.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 324 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	51
ქ. გორიდან	4
ქ. რუსთავიდან	6
ქ. ტყიბულიდან	8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადიგენის	რაიონიდან	8
ბოგდანოვკის	„	4
ბოლნისის	„	19
გორის	„	8
გურჯაანის	„	1
დუშეთის	„	4
ზესტაფონის	„	9
ზუგდიდის	„	6
ვანის	„	7
თელავის	„	11
თიანეთის	„	3
ლაგოდეხის	„	9
ლანჩხუთის	„	7
მესტიის	„	33
მცხეთის	„	6
ყაზბეგის	„	3
ჩოხატაურის	„	3
ცაგერის	„	6
ცხაკაიას	„	5
წალკის	„	88
ხობის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		9

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებით გაუქმდა გარდაბნის რაიონის სოფელი ვაშლაჯვარი ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო და „ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულების მეოთხე მუხლში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება.

საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე

(1972 წლის მაისი-აგვისტო)

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ — ახალქალაქი, ზესტაფონის, რაიონული და ჭიათურის საქალაქო საბჭოები.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ — აბაშის, ადიგენის, ახმეტის, ბორჯომის, გეგეჭკორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის, ლაგოდეხის, საჩხერის, ყვარლის, წითელწყაროს რაიონული და ზუგდიდის საქალაქო საბჭოები.

დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ — ახალციხის, ბოლნისის, გორის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, სამტრედიის, ყაზბეგის, ცაგერის, ხობის რაიონული და ზუგდიდისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში — აბაშის, დოშეთის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარნეულის, მცხეთის, ონის, სიღნაღის, წულუკიძის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას რაიონული და ტყიბულის საქალაქო საბჭოები.

მრავალწლიანი ნარგავების მოვლის, გაშენებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ — ორჯონიკიძის რაიონული საბჭო.

მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ადიგენის, დმანისის, თიანეთის, ლაგოდეხის, სამტრედიის, წყალტუბოს რაიონული საბჭოები.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობის შესახებ — ასპინძის ვანის, კასპის, მესტიის რაიონული საბჭოები.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბჭოთა კანონიერების დაცვის მდგომარეობის შესახებ — თერჯოლის რაიონული და ტყიბულის საქალაქო საბჭოები.

ქალაქის დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ — ტყიბულის საქალაქო საბჭო.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ — ორჯონიკიძის რაიონული საბჭო.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის განხორციელების სამოქალაქო თავდაცვის მდგომარეობის შესახებ — თერჯოლის რაიონული და რუსთავის საქალაქო საბჭოები.

მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქციულობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ — ასპინძის, წალკის რაიონული საბჭოები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — გურჯაანის რაიონული საბჭო.

საბინაო, სამოქალაქო და სხვა ობიექტების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ — ლენტეხის, მცხეთის, სიღნაღის რაიონული და რუსთავის საქალაქო საბჭოები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობის შესახებ — საგარეჯოს რაიონული საბჭო.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმის მდგომარეობის შესახებ — ბოგდანოვკისა და სამტრედიის რაიონული საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲛᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ, ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ — ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲚᲝᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ-ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.